



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

**საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლით
გათვალისწინებული**

საკანონმდებლო წინადადება

საქართველოს ორგანულ კანონში: „**საერთო სასამართლოების
შესახებ**“ და საქართველოს კანონში „**საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ**“
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საკანონმდებლო წინადადების ავტორი:

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

ს/კ 401973094

მის: ქ. თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქ. #12

ტელ: 599 291202

საქართველოს ორგანული კანონი

**„საერთო სასამართლოების შესახებ“ ცვლილებისა და
დამატების შესახებ**

მუხლი 1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, #2257-რს, 04/12/2009, ს/კ 110.050.000.04.001.003.778) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 68-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 68

3. მოსამართლეს, რომელსაც სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად თვითმმართველ ქალაქში (მუნიციპალიტეტში) არა აქვს საცხოვრებელი ბინა, სახელმწიფო დროებითი სარგებლობის უფლებით უზრუნველყოფს აუცილებელი საცხოვრებელი ფართობით ან უნაზღაურებს საამისოდ საჭირო ხარჯებს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ვადით. გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის თაობაზე იღებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის თაობაზე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2017 წლის 1 მაისიდან“

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

საქართველოს კანონი

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ ცვლილების და დამატების შესახებ

მუხლი 1: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, #293-რს, 25/06/1996ს/კ110.030.110.05.001.000.148) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატოს 1¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1¹ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, საკონსტიტუციო სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელების ადგილას, სახელმწიფო დროებითი სარგებლობის უფლებით უზრუნველყოფს აუცილებელი საცხოვრებელი ფართობით ან უნაზღაურებს საამისოდ საჭირო ხარჯებს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ვადით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2017 წლის 1 მაისიდან“.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

კანონის მოქმედი რედაქცია

საქართველოს ორგანული კანონი

„საერთო სასამართლოების შესახებ“

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, #2257-რს, 04/12/2009, ს/კ 110.050.000.04.001.003.778) 68-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოქმედი რედაქცია:

„მოსამართლეს, რომელსაც სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად თვითმმართველ ქალაქში (მუნიციპალიტეტში) არა აქვს საცხოვრებელი ბინა, სახელმწიფო უზრუნველყოფს აუცილებელი საცხოვრებელი ფართობით ან უნაზღაურებს საამისოდ საჭირო ხარჯებს. გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის თაობაზე იღებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის თაობაზე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო“.

საქართველოს კანონი

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, #293-რს, 25/06/1996ს/კ110.030.110.05.001.000.148) 1-ელი მუხლის მოქმედი რედაქცია:

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 31 იანვრის კანონის მეოთხე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად სახელმწიფო ვალდებულია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით შეუქმნას მოღვაწეობისა და ცხოვრების ღირსეული პირობები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია ცალკე მუხლით საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე“.

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანულ კანონში: „საერთო სასამართლოების შესახებ“ და საქართველოს კანონში „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია საკანონმდებლო წინადადების შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

სამართლის ნორმაში ასახულია საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება. მნიშვნელოვანია, რომ ნორმა იყოს ადეკვატური, მართლზომიერი და მკაფიო ენით გამოხატული იმისთვის, რომ სამართლის ნორმის მოქმედების სფერო იყოს მკაცრად განსაზღვრული და სწორად აღქმული. სამართლებრივი ნორმების რეალიზაციისა და ინტერპრეტაციის პროცესში აუცილებელია, განისაზღვროს კონკრეტული ნორმის მიზანი და განიმარტოს მიზნის შესაბამისად.

სამართლის ნორმის მიზნის გარკვევა გულისხმობს არა კანონმდებლის ნების, არამედ კანონის ობიექტური მიზნის გარკვევას. მოცემული შემთხვევაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 68-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ მოსამართლის აუცილებელი ფართობით უზრუნველყოფას ან საამისოდ საჭირო ხარჯების ანაზღაურებას

სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია მოსამართლის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფა, მაგრამ ეს ქმედება აუცილებლად უნდა განხორციელდეს კანონის ფარგლებში.

კანონპროექტის შექმნამდე, ორგანიზაციამ ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან, რომლის 2016 წლის 13 დეკემბრის #1931/2775-03-ო წერილის თანახმად, საერთო სასამართლოების სისტემაში (გარდა უზენაესი სასამართლოსი), მუშაობს 267 მოსამართლე, ხოლო საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის, საჭირო თანხით უზრუნველყოფილია 46 მოსამართლე. იმ არასწორი პრაქტიკიდან გამომდინარე, როდესაც სახელმწიფომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს, 2007 წელს საჩუქრად გადასცა საცხოვრებელი ბინები, მონიტორინგმა დასვა კითხვა, არსებობს თუ არა ფაქტი, სახელმწიფოს მხრიდან მოსამართლის მიმართ ღირსეული ცხოვრების პირობებით უზრუნველყოფისთვის, საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის შემთხვევა (2007 წლის 1 ივლისიდან – დღემდე) ან/და დროებით სარგებლობაში გადაცემის ფაქტი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული მონაცემების მიხედვით, „სახელმწიფოს მხრიდან საერთო სასამართლოების მოსამართლისათვის საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში ან/და დროებით სარგებლობაში გადაცემის ფაქტს ადგილი არ ჰქონია“. მიუხედავად ამისა, აღნიშნული არ ქმნის მეტ რწმუნებას, სახელმწიფომ არ მაოხდინოს კანონის ინტერპრეტაცია. მეტიც, 2016 წელს, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების ორგანოში, სახელმწიფომ ახალი მოსამართლის მიმართ, კვლავ შეეცადა სიმბოლურ თანხად, საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება.

თუკი კანონის მიზნიდან ამოვალთ, მოსამართლის საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა/ხარჯების ანაზღაურება უნდა მოხდეს სამოსამართლო უფლებამოსილების განსახორციელებლად. შესაბამისად, ბინების გადაცემა უნდა მოხდეს არა საკუთრებაში, არამედ დროებით სარგებლობაში. სწორედ იმიტომ, რომ კანონის ნორმის მიზანი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობაა და არა ზოგადად სახელმწიფოს ვალდებულება საერთო სასამართლოს მოსამართლეები ან/და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები უზრუნველყონ მთელი ცხოვრების განმავლობაში საცხოვრებელი ფართობით, მიზანშეწონილია საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა.

კანონპროექტის მიღების მიზეზს, ნორმის მიზნის საწინააღმდეგოდ განმარტების ფაქტები (2007 წ.) და მცდელობები (2016 წ.) წარმოადგენს, რაც

სრულყოფის მიზნით კანონის ნორმაში დამატებითი აღნიშვნების, დაზუსტებების, ცვლილებების განხორციელებას ხდის საჭიროს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნორმის მიზნიდან გადახვევის შემთხვევები.

კანონის უზენაესობა დემოკრატიულ სახელმწიფოში გულისხმობს არა მხოლოდ რაც შეიძლება მაღალი ხარისხის გადაწყვეტილებათა მიმღები, კომპეტენტური სასამართლო სისტემის შექმნას, არამედ სასამართლო ხელისუფლების სრულ დამოუკიდებლობას. საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემის, მისი მორალური ავტორიტეტისა და პატიოსნებისადმი პირველხარისხოვან როლს ასრულებს თანამედროვე, დემოკრატიულ, საზოგადოებაში. შესაბამისად, აუცილებელია საზოგადოებას ჰქონდეს მაღალი სამართლებრივი გარანტი, იმისა რომ მისი უფლებები იქნება დაცული ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად, კანონის მიზნიდან გამომდინარე. ამიტომ მნიშვნელოვანია, თავად საერთო სასამართლოს მოსამართლეებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიმართ მოქმედი სამართლებრივი ნორმები განიმარტოს მართლზომიერად, მიზნისა და მოწესრიგების სფეროს შესაბამისად, რათა არ შეილახოს სასამართლოს მორალური ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობისადმი ნდობა.

ა.ბ.) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია მოსამართლეების სოციალური დაცვის სამართლებრივი რეგულაციის ხარვეზის აღმოფხვრა, სახელმწიფოს მიერ მოსამართლის საცხოვრებელი ფართით დროებით სარგებლობის უფლებით უზრუნველყოფა და არა საკუთრებაში გადაცემა. კანონპროექტის მიზანია მოსამართლეების საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის დეფინიციისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების საკანონმდებლო დონეზე გადაწყვეტა.

სახელმწიფოს მიერ მოსამართლეების უზრუნველყოფა მათ უფლებას წარმოადგენს, შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს მის დაცვასა და რეალიზაციას, თუმცა ამ ურთიერთობის მიზანია მოსამართლეს არ შეეზღუდოს თავისი უფლება-მოვალეობების შესრულება და არ წარმოიშვას პრობლემა მართლმსაჯულების აღსრულებასთან დაკავშირებით. სახელმწიფო ვალდებულია მათ შეუქმნას ღირსეული საცხოვრებელი და სამუშაო გარემო, თუმცა ამ ვალდებულებას იღებს მხოლოდ მათი სამოსამართლო საქმიანობის განხორციელების ვადით და არა სამუდამოდ, განუსაზღვრელი ვადით, ვინაიდან კანონში არ არის განსაზღვრული დეფინიციისა და რეგულირების საკითხები და არ იძლევა ზუსტ განსაზღვრებას, რა ფორმით უნდა მოხდეს მოსამართლეების

ბინით უზრუნველყოფა, ტოვებს შესაძლებლობას, რომ მათ პრივატიზაციის გზით, ჩუქების ან/და ნასყიდობის ხელშეკრულებებით გადაეცეთ საცხოვრებელი ფართი, სადაც იცხოვრებენ სამოსამართლო მართლმსაჯულების განხორციელების მანძილზე.

ამდენად, გონივრული ალტერნატივა არის განსაზღვრული რედაქტირებული მუხლის სახით შემოთავაზებული, რომელიც გულისხმობს, რომ მოსამართლეებს მხოლოდ მისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადით გადაეცეს საცხოვრებელი ბინა დროებითი სარგებლობის უფლებით, მისი სამოსამართლო საქმიანობის დასრულების შემდგომ კი საცხოვრებელი ფართი დაუბრუნდება სახელმწიფოს და შესაძლებელი იქნება მისი გადაცემა სხვა მოსამართლისთვის, რომელსაც არ გააჩნია წინა მოსამართლის მსგავსად თვითმმართველ ქალაქში საცხოვრებელი ბინა. აღნიშნული კანონპროექტი მნიშვნელოვნად შეამცირებს სახელმწიფოს ხარჯებს, რაც არ მოხდება მართლმსაჯულებისა და ინდივიდუალური მოსამართლის როლის ინტერესების ხარჯზე, არამედ მას მიეცემა მისი უფლებამოსლების განხორციელების შესაძლებლობა სრულყოფილად, საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგო პოზიციის გარეშე, სასამართლოს მიმართ მოქალაქეების რეალური ნდობის პირობებში.

მოსამართლის სოციალური დაცვის სტანდარტების დაზუსტება და სახელმწიფოს სწორი ფუნქციის განხორციელება, პასუხობს საქართველოს მხრიდან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების ძირითად პირობებსაც, რაც გულისხმობს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის გარანტიების შექმნას და მოსამართლეთა ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნას. შესაბამისად, წარმოდგენილი კანონპროექტი, თავისი ხასიათიდან და არსიდან გამომდინარე, საქართველოს კიდევ უფრო დაახლოვებს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ნაწილშიც.

ა.გ.) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონის არსი მდგომარეობს იმაში, რომ განხორციელებულმა ცვლილებებმა ნორმის მიზნის შესაბამის მოქმედებას შეუწყოს ხელი და ამავდროულად, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მოსამართლის, როგორც მნიშვნელოვანი საჯარო ფიგურის დამოუკიდებლობის ხელშეწყობაზე.

საკანონმდებლო წინადადების ეფექტურობა, კანონპროექტის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოხდეს ნორმისთვის მიზნისთვის იმპერატიული

ძალის მინიჭება. დღევანდელი ჩანაწერი, ფართო დისკრედიტაციის შესაძლებლობას ტოვებს, რაც იწვევს გაურკვევლობასა და ზოგიერთ შემთხვევაში, ნორმის მიზნიდან გადახვევას, არასწორი პრაქტიკის სახელმწიფო უფლებამოსილების დონეზე აყვანას.

პირველ რიგში მნიშვნელოვანია კანონმა განმარტოს თუ რა იგულისხმება მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების ქვეშ. განსახილველი კანოპროექტის უმთავრესი არსი მდგომარეობს კანონის შემდგენაირ დეფინიციაში:

„მოსამართლეს, რომელსაც სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებლად თვითმმართველ ქალაქში (მუნიციპალიტეტში) არა აქვს საცხოვრებელი ბინა, სახელმწიფო დროებითი სარგებლობის უფლებით უზრუნველყოფს აუცილებელი საცხოვრებელი ფართობით ან უნაზღაურებს საამისოდ საჭირო ხარჯებს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ვადით. გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის თაობაზე იღებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის თაობაზე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო“

ასევე, „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს, საკონსტიტუციო სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელების ადგილას, სახელმწიფო დროებითი სარგებლობის უფლებით უზრუნველყოფს აუცილებელი საცხოვრებელი ფართობით ან უნაზღაურებს საამისოდ საჭირო ხარჯებს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ვადით.“

ქართულ სასამართლო სისტემაში არსებობს ფაქტი, რომელიც დღემდე საზოგადოებრივი განსჯის და პოლიტიკური აზრთა სხვადასხვაობის საფუძვლებს იძლევა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის ივნისში მიღებული განკარგულების თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ქ. ბათუმში გადატანასთან დაკავშირებით, მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფომ საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა მოსამართლეს, სომბოლურ ფასად - 1000 ლარად, ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე, უძრავი ქონებები საკუთრების უფლებით გადასცა. ამასთან, 2016 წელს, სახელმწიფომ საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი მოსამართლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნის განხორციელება დაისახა არსებული პრაქტიკის მიხედვით, როდესაც ახალი მოსამართლის მიმართ საცხოვრებელი ფართი,

ასევე საკუთრების უფლებით უნდა გადაცემულიყო, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად. 2016 წელს სახელმწიფოს მცდელობა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მხრიდან აქტიური პროტესტის გამო, აღარ განხორციელებულა, თუმცა სახელმწიფოს უარი არ უთქვამს მოსამართლეების მიმართ უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად, საკუთრების უფლებით გადაცემის პერსპექტივაზე.

- საქართველოს სასამართლო სისტემა ჯერ კიდევ რეფორმების პროცესშია, მნიშვნელოვანია იმ პრობლემებზე დროული და სათანადო რეაგირება, რომელთა მოგვარებაც უშუალოდ განამტკიცებს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას და პირდაპირ გავლენას მოახდენს სამართლიანი სასამართლოს მშენებლობაში.
- შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილებაში შესაძლოა იყოს 3 სახის:
1) დისკრეციული უფლებამოსილების გამოუყენებლობა, 2) დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს გადაცილება და ისეთი ღონისძიების განხორციელება, რომელიც კანონით არ არის გათვალისწინებული, 3) კანონის მიზნების უგულებელყოფა და დისკრეციული უფლებამოსილების გამოუყენებლობა იმ მიზნისთვის, რაც კანონმდებელმა მასში ჩადო. როდესაც ხორციელდება კონკრეტული მოსამართლისათვის საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემა, სახეზეა შეცდომა დისკრეციული უფლების განხორციელებაში, რაც ქმედებას ხდის უკანონოს. არსებული ნორმების მიზანი არ ითვალისწინებს საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემას, ამიტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განხორციელებულ უნდა იქნეს მხოლოდ კანონის შესაბამისად, სამართლიანობის ობიექტური კრიტერიუმების ფარგლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში განხორციელებული ქმედება იწვევს უკანონო მმართველობით საქმიანობას, რაც ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპს და საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულების სისტემას.
- არაფულადი სახის შეღავათებით მოსამართლეთა უზრუნველყოფამ შესაძლოა ხელყოს მოსამართლის დამოუკიდებლობის საკითხი. შესაბამისად, შესაძლოა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეები გადაწყდეს მიკერძოებულად, რაც უშუალოდ ეწინააღმდეგება სამართლიანი სახელმწიფოს პრინციპს. ცვლილება კანონპროექტში კი ეფექტურია იმ მხრივ, რომ დაკონკრეტდება კანონის მიზანი, მოქმედების სფერო, რაც ამავდროულად დიდ წვლილს შეიტანს მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში.
- საქართველოში არსებული სოციალური მდგომარეობის, მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ვითარებისა და ამ სფეროში არსებული პრაქტიკის თუ გამოცდილების საფუძველზე, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან გადაცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, რაც უფლებამოსილ ორგანოს

მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს დაუსაბუთებელი, არამართლზომიერი გადაწყვეტილება, რაც პარალელურად იწვევს არასამართლიან, უკანონო, არამართლზომიერ შედეგებს.

კანონმა და სახელმწიფომ კანონის საფუძველზე უნდა განმარტოს, თუ რა არის დროებითი სარგებლობის უფლებით გადაცემა. როგორც უკვე აღინიშნა სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ვალდებულია, რომ უზრუნველყოს მოსამართლეთა დაცულობა და პროფესიული საჭიროებებით უზრუნველყოფა სამოსამართლეო უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში. იმ შემთხვევაში თუკი ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვერ ახდენს მოსამართლე მის ბალანსზე არსებული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოს, მან უნდა უზრუნველყოს ადეკვატური, ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით და მოსამართლის ბინის ქირით უზრუნველყოფა, აუცილებელია, ამ შემთხვევაში განიმარტოს, რომ ქირის საფასური უნდა ირიცხებოდეს დამქირავებლის, სახელმწიფოს მხრიდან პირადად გამქირავებლის ანგარიშზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ არის დამატებით ფინანსურ ხარჯებთან დაკავშირებული. კანონპროექტი არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

მოსამართლეთა სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა, ამავდროულად სამართლებრივი ნორმების მიზნის შესაბამისად გაგება, უშუალოდ არის დაკავშირებული სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობასთან, რაც არაერთი საერთაშორისო აქტითა და რეკომენდაციით დასტურდება.

მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობაზე¹, ე.წ. სინგვის დეკლარაცია,² მოსამართლის უნივერსალური ქარტია³, ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსზე⁴, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის მოსამართლეებზე: დამოუკიდებლობა, ეფექტურობა და პასუხისმგებლობები⁵ - იმ აქტთა/რეკომენდაციათა მცირე ჩამონათვალია, რომელშიც უშუალოდ აღნიშნულია, რომ მოსამართლის დამოუკიდებლობას განსაზღვრავს სახელმწიფოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების ჯეროვნად და ობიექტურად განხორციელება.

ვენეციის კომისიის 2008 წლის რეკომენდაციაში გამოკვეთილია ის ძირითადი ასპექტები, რამაც შესაძლოა მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის

1nb.<http://www2.ohchr.org/english/law/indjudiciary.htm>

2nb. <http://www.cristidanilet.ro/docs/Shingvi%20Declaration.pdf>

3nb.<http://www.hjpc.ba/dc/pdf/THE%20UNIVERSAL%20CHARTER%20OF%20THE%20JUDGE.pdf>

4nb.<http://www.judicialcouncil.gov.az/Law/echarte.pdf>

5nb.[https://wcd.coe.int/wcd/ViewDoc.jsp?Ref=CM/Rec\(2010\)12&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=C3C3C3&BackColorIntranet=EDB021&BackColorLogged=F5D383](https://wcd.coe.int/wcd/ViewDoc.jsp?Ref=CM/Rec(2010)12&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=C3C3C3&BackColorIntranet=EDB021&BackColorLogged=F5D383)

გაძლიერების პროცესში უარყოფითი როლი შეასრულოს. ვენეციის კომისიის რეკომენდაციის მიხედვით, არაფულადის სახის შეღავათებით მოსამართლეთა უზრუნველყოფა, რაც სხვადასხვა ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემით გამოიხატება, არის დისკრეციულ უფლებამოსილების ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხი, რამაც შესაძლოა ხელყოს, როგორც მოსამართლის დამოუკიდებლობის, ასევე მის მიერ საქმის ობიექტურად გადაწყვეტის შესაძლებლობა.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებით აღიარებულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

გ.დ) კანონპროექტის მიღებისათვის ხმათა საჭირო რაოდენობა პარლამენტში:

საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად: „პარლამენტში კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონპროექტის ან დადგენილების მიღების სხვა წესი“.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დანესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში, ორგანიზაციის სამართლის ჯგუფი, გაეცნო კანონპროექტის მიზანთან დაკავშირებით, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციებს, არსებულ კანონმდებლობას, კვლევებს,

რომლებიც უშუალოდ უკავშირდება პრობლემურ საკითხს. მნიშვნელოვანია ძირითადი ასპექტების გამოყოფა:

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დანესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ორგანიზაციის მხრიდან საკანონმდებლო წინადადებაზე მუშაობა განხორციელდა ორგანიზაციის სამართლის ჯგუფის მონაწილეობით (მარიამ ფირცხალაიშვილი, მარიამ სვიმონიშვილი, ია გოგნაძე, რუსლან ალექსიძე, არჩილ ნადირაძე, გიორგი ჯოჯუა) და არ გახლდათ შეზღუდული რომელიმე დონორი ორგანიზაციის განსაკუთრებული მოთხოვნით.

სამუშაო ჯგუფის წევრობა არ ყოფილა ანაზღაურებადი. ამიტომაც, ორგანიზაციამ წარმოდგენილ დოკუმენტში, სრულად გაითვალისწინა საკანონმდებლო წინადადების ფორმირებაში მონაწილე სამუშაო ჯგუფის ყველა წევრის პოზიცია.

საკანონმდებლო წინადადების განხილვის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზაცია უზრუნველყოფს კანონპროექტის მიმართ ასეთი საექსპერტო შეფასების წარმოდგენას ინიციატივის შემდგომი ლობირებისთვის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“